

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონკურსის „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო  
საქმიანობის ხელშეწყობა“

პირობები

კონკურსი განხორციელდება საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანებით დამტკიცებული  
პროგრამის „კულტურის ხელშეწყობა“ (32 10 02)

პრიორიტეტის „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების  
ხელშეწყობა“ ფარგლებში

**მუხლი 1. კონკურსის „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო  
საქმიანობის ხელშეწყობა“ მიზანი**

- 1.1. კონკურსის „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო  
საქმიანობის ხელშეწყობა“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია:
  - 1.1.1. საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურება,  
რეგიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესება;
  - 1.1.2. ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, მიმდინარე სათეატრო  
პროცესის გააქტიურება;
  - 1.1.3. დედაქალაქისა და რეგიონების თეატრების დაახლოება, შემოქმედებითი  
კონტაქტების გაღრმავება.

**მუხლი 2. კონკურსის პირობები**

- 2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამინისტროს მმართველობის სფეროში  
შემავალ თბილისის სსიპ თეატრებს (შემდგომში - კონკურსანტი);
- 2.2. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა;
- 2.3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი  
დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული  
ქართულენოვანი თარგმანი.
- 2.4. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს  
**2019 წლის 1 ივნისისა, ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 2019 წლის 1  
დეკემბრისა;**
- 2.5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს  
(შემდგომში-სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს  
**100 000 ლარს.** ცალკეულ პროექტზე სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა  
აღემატებოდეს **25 000 ლარს;**

2.6. კონკურსში უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს კონკურსანტს:

- ა) რომლის წარმოდგენილი პროექტიც ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას;
- ბ) რომელიც გულისხმობს 2 ან მეტ ადმინისტრაციულ/გეოგრაფიულ პუნქტში საგასტროლო ტურნეს;
- გ) რომელიც გეგმავს გასტროლების გამართვას ისეთ პუნქტებში, სადაც არ ფუნქციონირებს პროფესიული თეატრი.

### **მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი**

3.1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

3.1.1. განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, თანდართული (დანართი N1) ფორმის შესაბამისად;

3.1.2. საკონკურსო განაცხადი დანართი N2-ის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;
- ბ) პარტნიორების ფინანსური, ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.2. კონკურსანტი უფლებამოსილია, საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია;

3.3. პროექტის განხორციელების შემდეგ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით და ვიზუალური მასალით).

### **4. შერჩევის კრიტერიუმები**

4.1 სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია;

4.2. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა განხორციელდება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ პროექტის ქულობრივი შეფასების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში.

	<b>შეფასების კრიტერიუმი</b>
	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან
	პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)
	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში
	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება
	პარტნიორობა

4.3. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს. 1-ელ და მე-2 კრიტერიუმებში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

4.4. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი (შემდგომში პროექტი) დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

4.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

- ა) პროექტის მოწონების შესახებ;
- ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;
- გ) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;
- დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ.

4.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებულ კონკურსანტს, მოსთხოვოს, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

4.7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N3) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის [culture@mes.gov.ge](mailto:culture@mes.gov.ge) საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;

4.8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

4.9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;

4.11. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4.12. გამარჯვებული კონკურსანტის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის

N132 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 32 10 02) ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების წესის შესაბამისად;

4.13. ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხის გადატანა (ცვლილება) შესაძლებელია სამინისტროდან მიღებული დაფინანსების არაუმეტეს 10% ოდენობით (გარდა შრომის ანაზღაურების მუხლისა).

4.14. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში დანართ N4-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

## **მუხლი 5. კონკურსის ვადები**

5.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2019 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილის 15:00 სთ-მდე საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ან თბილისი, უზნაძის ქ. N52.

5.2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში 2 ეტაპად:

**ა) 2019 წლის 5 აპრილს 14:00 სთ-ზე;**

**ბ) 2019 წლის 18 აპრილს 14:00 სთ-ზე;**

მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. N4

5.3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე: [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge) არაუგვიანეს 2019 წლის 25 მაისისა;

5.4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება.